



**შემოსავლების
სამსახური**

ბრძანება N 36641

18/12/2018

**„გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“
მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 18 მაისის
№13446 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდური მითითების:

ა) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 7. გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით საგადასახადო დავალიანების ჩამოწერისას.

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით ჩამოწერას ექვემდებარება: 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის №3263-რს კანონის ამოქმედებამდე გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება და მასზე დარიცხული საურავი, თუ პირს 2013 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდისათვის (თანხის ჩამოწერამდე) საგადასახადო ორგანოსთვის არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა, აგრეთვე ამ კოდექსის 176¹ მუხლის პირველი ნაწილის ან 309-ე მუხლის 58-ე და 59-ე ნაწილების მიხედვით განხორციელებული დეკლარირებისა ან/და დარიცხვისა) ან საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა, აგრეთვე ამ კოდექსის 176¹ მუხლის პირველი ნაწილის ან 309-ე მუხლის 58-ე და 59-ე ნაწილების მიხედვით განხორციელებული დეკლარირებისა ან/და დარიცხვისა) საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციით/გაანგარიშებით ერთობლივი შემოსავლის თანხა ნულზე მეტია ან/და ჩასათვლელი თანხა დარიცხულ თანხას აღემატება);“

2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების წესს განსაზღვრავს „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №994 ბრძანება, რომლის 68¹-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია:

ა) გადასახადის გადამხდელის განცხადება;

ბ) დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება;

3. „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №994 ბრძანების 68¹-ე მუხლის მიხედვით, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს საგადასახადო ორგანოს ინიციატივით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით დავალიანების ჩამოწერის საკითხის შესწავლას შეიძლება დაექვემდებაროს ყველა ის პირი, რომელთაც ერიცხებათ 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და 2018 წლის 2 აგვისტომდე („საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის № 3263 -რს კანონის (გამოქვეყნების თარიღი - 2018 წლის 1 აგვისტო) ამოქმედების თარიღამდე) გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება და მასზე დარიცხული საურავი.

მაგალითი 1:

ფიზიკურ პირს 2013 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება საგადასახადო დავალიანება 6000 ლარის ოდენობით. მათ შორის: საშემოსავლო გადასახადში ძირითადი თანხა – 1000 ლარი, ჯარიმა – 300 ლარი და საურავი – 1500 ლარი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადში ძირითადი თანხა – 2000 ლარი, საურავი – 1200 ლარი. ფიზიკურ პირს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ დავალიანების თანხის ჩამოწერამდე ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და 2018 წლის 6 აგვისტოს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით.

მოცემულ შემთხვევაში:

ფიზიკური პირი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირობებს და უნდა ჩამოეწეროს 2018 წლის 2 აგვისტომდე არსებული საგადასახადო დავალიანება სრულად.

5. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მიზნით ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე პირის მიერ გადახდილი თანხები უნდა მიმართულიყო ვალდებულ პირზე აღნიშნული პერიოდისათვის რიცხული საერთო დავალიანების დასაფარავად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 253-ე მუხლით დადგენილი თანმიმდევრობით:

ა) გადასახადის თანხა (ძირითადი თანხა);

ბ) ჯარიმა;

გ) საურავი.

მაგალითი 2:

პირს 2013 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება საგადასახადო დავალიანება საშემოსავლო გადასახადში ძირითადი თანხა – 1000 ლარი, ჯარიმა – 300 ლარი და საურავი – 1500 ლარი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადში ძირითადი თანხა - 400 ლარი. პირს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ დავალიანების თანხის ჩამოწერამდე დაერიცხა 2014 წლის კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 15.11.2014 წლის სავადო თარიღით 100 ლარი. ამასთან, პირს 02.12.2014 წელს გადახდილი აქვს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის ნაწილში 100 ლარი. სხვა

მხრივ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და 2018 წლის 6 აგვისტოს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით.

მოცემულ შემთხვევაში:

პირი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირობებს და უნდა ჩამოეწეროს 2018 წლის 1 აგვისტოს (ჩათვლით) მდგომარეობით არსებული საგადასახადო დავალიანება ნაწილობრივ. კერძოდ, ჩამოიწერას ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადში ძირითადი თანხა - 1000 ლარი. ხოლო, ვინაიდან 02.12.2014 წელს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის ნაწილში გადახდილი 100 ლარით დაფარულია 2013 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ქონების გადასახადში არსებული დავალიანების ძირითადი თანხის - 400 ლარის ნაწილი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადში ჩამოსაწერ დავალიანებას წარმოადგენს ძირითადი თანხა - 300 ლარი (400 ლარი მცირდება 02.12.2014 წელს გადახდილი 100 ლარით). რაც შეეხება ჯარიმისა და საურავის ჩამოწერის საკითხს, გათვალისწინებული უნდა იქნეს 2016 წლის 1 იანვრიდან ბარათების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი გარემოებები. კერძოდ, ბარათების გაერთიანების შედეგად ჯარიმები და საურავები აღირიცხება ძირითადი დავალიანებისაგან განცალკევებით. შესაბამისად, ჩამოეწერას ექვემდებარება ჯარიმა - 300 ლარი, ხოლო რაც შეეხება 2018 წლის 1 აგვისტოსთვის არსებული საურავს, ჩამოეწერას არ დაექვემდებარება საურავის ის ნაწილი, რომელიც დაერიცხა 15.11.2014 წლის სავადო თარიღით დარიცხულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადს 100 ლარს.

მაგალითი 3:

პირს 2013 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება საგადასახადო დავალიანება 2800 ლარის ოდენობით. მათ შორის: საშემოსავლო გადასახადში ძირითადი თანხა - 1000 ლარი, ჯარიმა - 300 ლარი და საურავი - 1500 ლარი. პირს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით დავალიანების თანხის ჩამოწერამდე ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და გადასახადის გადამხდელმა 2018 წლის 6 აგვისტოს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით. დადგენილია, რომ 2014 წლის 15 იანვარს საშემოსავლო გადასახადში გადახდილი 1200 ლარი პირადი აღრიცხვის ბარათზე აისახა დაგვიანებით (საგადახდო დავალებაში გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტებში ხარვეზის გამო) 2018 წლის 5 აგვისტოს.

მოცემულ შემთხვევაში:

გადასახადის გადამხდელი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირობებს სრულად და უნდა ჩამოეწეროს 2018 წლის 1 აგვისტოს სავადო თარიღით (2018 წლის 5 აგვისტოს ასახული 2014 წლის 15 იანვარს განხორციელებული საბიუჯეტო გადარიცხვის გათვალისწინებით) ჯარიმა 100 ლარი და საურავი სრულად.

მაგალითი 4:

პირს 2013 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება საგადასახადო დავალიანება 2800 ლარის ოდენობით. მათ შორის: საშემოსავლო გადასახადში ძირითადი თანხა - 1000 ლარი, ჯარიმა - 300 ლარი და საურავი - 1500 ლარი. პირს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით დავალიანების თანხის ჩამოწერამდე ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და 2018 წლის 6 აგვისტოს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით. საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემდგომ გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე დაგვიანებით (საგადახდო დავალებაში გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტებში ხარვეზის გამო) აისახა 2014 წლის 15 იანვარს საშემოსავლო გადასახადში გადახდილი 1200 ლარი.

მოცემულ შემთხვევაში:

ჩამოწერილი საგადასახადო დავალიანება ექვემდებარება კორექტირებას აღნიშნული გადახდის (1200 ლარი) გათვალისწინებით.

მაგალითი 5:

საწარმოს 2013 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება საგადასახადო დავალიანება 3600 ლარის ოდენობით. მათ შორის: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადში ძირითადი თანხა 2100 ლარი და საურავი 1500 ლარი. 2013 წლის შემდგომ პერიოდში გადასახადის გადამხდელს დაერიცხა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 2014 წლის კუთვნილი გადასახადი 2014 წლის 15 ნოემბრის სავადო თარიღით 1000 ლარი. 2015 წლის 1 მარტს გადასახადის გადამხდელმა გადაიხადა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 3000 ლარი. შემდგომში გადასახადის გადამხდელს ბიუჯეტთან ანგარიშსწორება გადასახადების დარიცხვისა და გადახდის მხრივ არ უწარმოებია. პირმა 2018 წლის 6 აგვისტოს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2013 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის არსებულ ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით.

მოცემულ შემთხვევაში:

გადასახადის გადამხდელის მიერ 2015 წლის 1 მარტს გადახდილი 3000 ლარით დაიფარება:

– 2013 წლის 1 იანვრამდე არსებული ძირითადი დავალიანების თანხა სრულად 2100 ლარი;

– 2014 წლის 15 ნოემბრის სავადო თარიღით დარიცხული 2014 წლის მიწაზე ქონების გადასახადის ძირითადი თანხიდან (1000 ლარიდან) 900 ლარი.

ამასთან, გადასახადის გადამხდელი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირობებს, კერძოდ, გადასახადის დარიცხვა განხორციელებულია მხოლოდ ქონების გადასახადში. შესაბამისად, საწარმოს უნდა ჩამოეწეროს 2018 წლის 2 აგვისტომდე არსებული დავალიანება ნაწილობრივ. კერძოდ, ჩამოწერას არ ექვემდებარება 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ დარიცხული და გადაუხდელი ძირითადი გადასახადის დარჩენილი ნაწილი (100 ლარი) და 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ ქონების გადასახადში დარიცხულ 1000 ლარზე დარიცხული და გადაუხდელი საურავი.

6. თუ გადასახადის გადამხდელს 2013 წლის 1 იანვრისათვის გააჩნია საგადასახადო დავალიანება რომელიმე გადასახადში და ამავდროულად ზედმეტად გადახდილი თანხა სხვა გადასახადში, აღნიშნული ზედმეტობა გათვალისწინებული უნდა იქნეს 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით დავალიანების ჩამოწერისას. ჩამოწერისას აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნას 2013 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე არსებული ზედმეტად გადახდილი თანხა. ხოლო 2016 წლის 1 იანვრიდან ერთიანი სახაზინო კოდის ამოქმედების შედეგად, პროგრამულად ნარჩენი დავალიანების გასაღდოების გამო, შესწავლილი უნდა იქნეს 2016 წლის 1 იანვრისათვის არსებული ზედმეტად გადახდილი თანხით რა ოდენობის დავალიანების დაფარვა მოხდა სალდირებულად და ჩამოწერა უნდა განხორციელდეს სალდირებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში.

მაგალითი 6:

პირს 2013 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება საგადასახადო დავალიანება საშემოსავლო გადასახადში ძირითადი თანხა – 1000 ლარი, ჯარიმა – 300 ლარი და საურავი – 1500 ლარი; ამავდროულად ზედმეტად გადახდილი თანხა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადში 400 ლარი.

პირმა 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ დავალიანების თანხის ჩამოწერამდე განხორციელა საბიუჯეტო გადარიცხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადში 10.11.2015 წელს 500 ლარი და დაერიცხა 2015 წლის კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 15.11.2015 წლის სავადო თარიღით 700 ლარი. სხვა მხრივ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და 2018 წლის 6 აგვისტოს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით.

მოცემულ შემთხვევაში:

პირი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირობებს და უნდა ჩამოეწეროს 2018 წლის 2 აგვისტომდე არსებული სალდირებული საგადასახადო დავალიანება ნაწილობრივ. კერძოდ, ჩამოიწერება საშემოსავლო გადასახადში ძირითადი დავალიანება 600 ლარი (1000 - 400), ჯარიმა - 300 ლარი და 2013 წლის 1 იანვრამდე არსებულ ძირითად დავალიანებაზე (600 ლარი) დარიცხული საურავი.

მაგალითი 7:

პირის საგადასახადო დავალიანება 2013 წლის 1 იანვრისათვის საშემოსავლო გადასახადში შეადგენს – ძირითადი გადასახადი 1000 ლარს და საურავი 1500 ლარს. პირს 2013 წლის 1 იანვრისათვის ამავდროულად ერიცხება ზედმეტად გადახდილი თანხა დღგ-ის გადასახადში 2000 ლარი. პირს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით დავალიანების თანხის ჩამოწერამდე ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და, ამასთან, დღგ-ში არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის გამო საშემოსავლო გადასახადში არსებულ ძირითად თანხას საურავი არ დაერიცხა. პირმა 2018 წლის 6 აგვისტოს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2013 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის არსებული ვადაგადაცილებული დავალიანების და მასზე დარიცხული საურავის ჩამოწერის მოთხოვნით.

მოცემულ შემთხვევაში:

გადასახადის გადამხდელი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირობებს. ერთიანი სახაზინო კოდის ამოქმედების შედეგად პროგრამულად მოხდება 2016 წლის 1 იანვრისათვის არსებული დავალიანების გასაღდოება, რის შედეგად პირის საგადასახადო დავალიანება 2018 წლის 1 აგვისტოსთვის შეადგენს მხოლოდ საურავს 500 ლარს და ჩამოწერება სრულად.

7. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის №3263-რს კანონის ამოქმედების თარიღიდან (02.08.2018 წ-დან) გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი გადასახადის თანხა არ ჩაითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით ჩამოწერილი ან/და ჩამოსაწერი საგადასახადო დავალიანების დასაფარავად მიმართულად.

8. 2013 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათზე დაგვიანებით 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ დარიცხვის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანომ თითოეული გადასახადის გადამხდელის მიხედვით, უნდა მოახდინოს იდენტიფიცირება იმ საგადასახადო ვალდებულებებისა, რომლებიც გაბ-ზე ასახული უნდა ყოფილიყო 2013 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის და აღნიშნულის გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება ამ დავალიანების საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ჩამოწერის თაობაზე.

მაგალითი 8:

2012 წლის ნოემბრის თვეში პირის მიერ საგადასახადო ორგანოში დაგვიანებით წარდგენილი იქნა 2011 წლის მოგების გადასახადის დეკლარაცია 1000 ლარის დარიცხვით, რომელზეც 2012 წლის ნოემბრის თვეშივე (01.01.2013 წლამდე) საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით გადასახადის გადამხდელს შეეფარდა შესაბამისი სანქცია დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის გამო. აღნიშნული დეკლარაციის საგადასახადო სანქციის ასახვა პირადი აღრიცხვის ბარათზე მოხდა დაგვიანებით 2013 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში. პირს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით დავალიანების თანხის ჩამოწერამდე ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და 2018 წლის 6 აგვისტოს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით.

მოცემულ შემთხვევაში:

გადასახადის გადამხდელი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირობებს და უნდა ჩამოწეროს 2018 წლის 2 აგვისტომდე არსებული დავალიანება სრულად, ვინაიდან მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის თარიღი, საგადასახადო სანქციის შეფარდება და აღნიშნული დეკლარაციით გადასახადის დარიცხვის სავადო, წარმოიშვა 2013 წლის 1 იანვრამდე პერიოდში.

მაგალითი 9:

პირს 2013 წლის 1 იანვრამდე ერიცხება საგადასახადო დავალიანება 2000 ლარის ოდენობით. 2014 წელს საგადასახადო შემოწმების შედეგად (შესამოწმებელი პერიოდი 01.01.2012-31.12.2012) დაერიცხა 2012 წლის იანვრის თვის და 2012 წლის თებერვლის დღგ-ის გადასახადი, შესაბამისად, 1500 ლარი და 2500 ლარი, ან/და 2014 წელს პირის მიერ საგადასახადო ორგანოში

დაგვიანებით წარდგენილ იქნა 2012 წლის იანვრის თვის და 2012 წლის თებერვლის დღე-ის დეკლარაციები, შესაბამისად, 1000 ლარის და 2000 ლარის დარიცხვით. პირს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით დავალიანების თანხის ჩამოწერამდე ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და 2018 წლის 6 აგვისტოს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით.

მოცემულ შემთხვევაში:

გადასახადის გადამხდელს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩამოწერება 2013 წლის 1 იანვრამდე არსებული საგადასახადო დავალიანება 2000 ლარი და მასზე დარიცხული საურავი, ხოლო ჩამოწერას არ ექვემდებარება 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ დარიცხული და გადაუხდელი ძირითადი გადასახადი და მასზე დარიცხული გადაუხდელი საურავი, ვინაიდან 2012 წლის იანვრის და 2012 წლის თებერვლის დღე-ის საგადასახადო ვალდებულებებზე საგადასახადო დავალიანება წარმოიშვა 2013 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში.

9. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით ჩამოწერისას ხელის შემშლელ პირობას არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ოპერაციის მიხედვით განხორციელებული დეკლარირება, ამასთან, საქონლის მესაკუთრის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხვა ხორციელდება საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით და მის მიერვე ხდება კუთვნილი გადასახადის საქონლის მესაკუთრის სახელით გადახდა, ჩამოსაწერი დავალიანების თანხის დაანგარიშებაში მონაწილეობას არ ღებულობს საქონლის მესაკუთრის პირადი აღრიცხვის ბარათზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარიცხვა და გადახდა.

10. გადასახადის გადამხდელთა მიერ 2012 წლის საანგარიშო პერიოდზე საგადასახადო დეკლარაცი(ებ)ის წარდგენის ფაქტი, რომელთა მიხედვით გადასახადის გადახდის ვალდებულება დადგა და შესაბამისად დავალიანება წარმოიშვა 2013 წლის 1 იანვრის შემდგომ, აგრეთვე საბაჟო/სასაქონლო დეკლარაციის, დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის, გამოწერილი სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მიღებული/დადასტურებული/გამოწერილი), სალარო აპარატის შესახებ მონაცემების/ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში არსებობა არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების ჩამოწერაზე უარის თქმის საფუძველს.

11. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადასახადის გადამხდელის გპაბ-ზე 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემდეგ გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო დეკლარაცი(ებ)ი/გაანგარიშებ(ებ)ი, რომელთა საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლი არ არის, არ წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჩამოწერილი თანხების აღდგენის საფუძველს. ჩამოწერილი თანხები აგრეთვე არ ექვემდებარება აღდგენას, თუ საგადასახადო ანგარიშგების ვალდებულება (რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლი არ არის) საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლენილი იქნება საგადასახადო შემოწმების საფუძველზე. ამასთან, საგადასახადო დავალიანების თანხის ჩამოწერის შემდეგ, 2018 წლის 2 აგვისტომდე საანგარიშო პერიოდზე ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი თანხით წარმოდგენილი დეკლარაცი(ებ)ის/გაანგარიშებ(ებ)ის (მათ შორის, დაზუსტებულის) შედეგად წარმოშობილი ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება მართლზომიერად.

12. საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერისას, საგადასახადო ორგანოს მიერ

საგადასახადო დავალიანების აღიარების საკითხის შესწავლა არ ხორციელდება.

მაგალითი 10:

პირს 2013 წლის 1 იანვრამდე ერიცხება საგადასახადო დავალიანება 2000 ლარის ოდენობით, მათ შორის საგადასახადო ორგანოს მიერ დამატებით დარიცხულია 500 ლარი, რომელზეც საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების საკითხი გაურკვეველია. დავალიანება ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე (2018 წლის 2 აგვისტო) გადაუხდელია. პირს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით დავალიანების თანხის ჩამოწერამდე ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და 2018 წლის 5 აგვისტოს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით. საგადასახადო ორგანოს მიერ დამატებით დარიცხული 500 ლარი 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ასახულია გადასახადის გადამხდელის ძირითად ბარათზე.

მოცემულ შემთხვევაში:

გადასახადის გადამხდელს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უნდა ჩამოეწეროს საგადასახადო დავალიანება სრულად.

მაგალითი 11:

პირს 2013 წლის 1 იანვრამდე ერიცხება საგადასახადო დავალიანება 2000 ლარის ოდენობით, მათ შორის საგადასახადო ორგანოს მიერ 2012 წელს დამატებით დარიცხულია 500 ლარი, რომელზეც საგადასახადო დავა მიმდინარებს 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობითაც. დავალიანება ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე (2018 წლის 2 აგვისტო) გადაუხდელია. პირს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით დავალიანების თანხის ჩამოწერამდე ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და 2018 წლის 5 აგვისტოს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით. საგადასახადო ორგანოს მიერ დამატებით დარიცხული 500 ლარი 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ასახულია გადასახადის გადამხდელის დროებით ბარათზე.

მოცემულ შემთხვევაში:

გადასახადის გადამხდელს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უნდა ჩამოეწეროს მხოლოდ 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე არსებული საგადასახადო დავალიანება და ჩამოწერას არ ექვემდებარება დროებით ბარათზე ასახული არაღიარებული დავალიანება.

13. იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო დავალიანება არის გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხას შორის სხვაობა, ჩამოწერისას მოსაკრებლის და ადმინისტრაციული ბარათის ნარჩენი ან/და ზედმეტობა, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული, გარდა საბაჟო მოსაკრებლის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ნაშთებისა, რომლის გაერთიანებაც მოხდა ერთიანი სახაზინო კოდის პროექტის ფარგლებში იმპორტის გადასახადთან.

14. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ამოქმედების შემდგომ, აღნიშნული ნორმის შესაბამისად საგადასახადო დავალიანების ჩამოწერამდე გადასახადის გადამხდელის მიერ, ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით, დაზუსტებული დეკლარაციების წარდგენის საფუძველზე განულებულია პირველადი დეკლარაციების (2013 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდის დეკლარაციების) მონაცემები, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია დაადგინოს პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული საგადასახადო დავალიანების თანხის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მათ შორის, საგადასახადო შემოწმების ჩატარებით. აღნიშნული საკითხის შესწავლამდე საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო დავალიანება არ ჩამოიწერება.

15. მემკვიდრის მიერ გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით საგადასახადო ორგანოსათვის მიმართვის შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მიუხედავად იმისა მემკვიდრე აგრძელებს თუ არა გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას, საგადასახადო ორგანო შეისწავლის როგორც მემკვიდრის, ასევე გარდაცვლილი პირის პირადი

აღრიცხვის ბარათებს. იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანება გადატანილია მემკვიდრის პირადი აღრიცხვის ბარათზე და მემკვიდრემ მიმართა საგადასახადო ორგანოს საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მიზნით, აღნიშნული საგადასახადო დავალიანების წარმოშობის პერიოდის დადგენისას გაითვალისწინება გარდაცვლილ პირზე მისი წარმოშობის პერიოდი. თუ მემკვიდრემ მიმართა საგადასახადო ორგანოს გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მიზნით, ხოლო არდაცვლილ პირზე რიცხული საგადასახადო დავალიანება არ არის გადატანილი მემკვიდრის პირადი აღრიცხვის ბარათზე და ჩამოწერის პირობები შეესაბამება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა შესაძლებელია განხორციელდეს გარდაცვლილის პირადი აღრიცხვის ბარათზეც.

16. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა ხორციელდება გადასახად(ებ)ის სახეების მიხედვით, გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვით. კერძოდ, ამისთვის შექმნილი ოპერაციით - „ჩამოწერილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად“.

17. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის თაობაზე დასკვნის შედგენის თარიღისათვის საგადასახადო ორგანომ უნდა შეისწავლოს ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარაციების წარმოდგენის შესახებ.“.

ბ) მე-8 ამოღებულ იქნას.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ვახტანგ ლაშქარაძე

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

